ანანია ბახტაძე

კლასელები

პიესა ერთ მოქმედებად.

მოქმედი პირნი:

(კლასელები, 60 წელს გადაცილებული ქალები)

ნათია
ზიკა
ნანა
ელა
ლია

ღამეა, სცენა წარმოადგენს საავადმყოფოს დიდი პალატას.
ოთახში დგას; მაგიდა, ორი საწოლი, პატარა მაცივარი და რამედნიმე სკამი.
კედლის ერთი მხარე არის შეწეულ ნიშა, რომელიც ფარდით არის გამოყოფილი.

პალატაში შემოდის ზიკა, თეთრი სამედიცინო ხალათით. ზიკა ტელეფონზე ლაპარაკობს.

ზიკა: კი, კი, ამაღამ აქ ვრჩები, არ არის პრობლემა, რაა?...ორი თავისუფალი საწოლია ისედაც, არა , არა... ბუკამ ასე თქვა მინიმუმ ერთი კვირა მაინც არაფერი შეიცვლებაო, მერე ვნახოთ რას გადაწყვეტს მისი ორგანიზმი და ჩვენც იმის მიხედვით ვიმოქმედებთო.

კარზე მორიდებული კაკუნა, მაგრამ ზიკას არ ესმის, მობილურზე საუბარს აგრძელებს.

ზიკა: ...რა ბუკა ვინ არის გოგო ? ბუკა ღაღანიძე არ იცი, ეგ თუ არ იცი აბა ვინ იცი?! მაგაზე მაგარი ნევროპათოლოგი ქალაქში სხვა ვინ გყავს? ... რაა?! დიახ ! დიახ! სწორედ ეგ ბაკურ ღაღანიძეა- ბუკა. დიახ გენაცვალე, ჩვენი კლასელია და ჩვენთვის ბუკა იყო და ბუკად დარჩება.

ისევ გაისმება კაკუნი და კარი იღება.
კარში ზიკას ასაკის ორი ქალი დგას (ნათია და ნანა) ყვავილებთ და სასაჩუქრე პარკებით. ზიკა ტრიალდება.

ზიკა: უიი?! კაი წავედი ჩემი გოგოები მოვიდნენ.

ნათია : შენი გოგოები და ჯანდაბა შენ ! რო გამოწყობილხარ აქ ექიმივით ერთი საათია ვაკაკუნებთ, ყრუ ხარ?

ზიკა: მერე ვერ შემოხვედით?

ნათია: ექიმი გვეგონე ქალო ექიმი, ვერ არის ეს ჯანზე?!

ზიკა: კაი ხოო, ზურგიდან ხალათმა დაგაბნიათ, რა იყო ხმაზე მაინც ვერ მიცანით?

ნათია : ოხ, ხმა თორე შენც არ იყო მარია კალასი?! მართლა ვერ არის ეს ?!

ნანა: ღმერთო! ეს რა საშინელება დაემართა ამ საცოდავ გურანდას?! ეს რა საშინელება დაემართა? ერთი თვეა ამ დღისთვის ემზადებოდა და ...ხვალ მაინც მოსვლოდა.

ზიკა: ხვალ რითი იქნებოდა უკეთესი?

ნათია: იმით, რომ დღეს კარგად გამოსკდებოდა გურანდას დაბადების დღეზე და მაგას ვერ ინელებს. ვერ ხედავ რას დაემსგავსა ამდენი ჭამისგან?

ნანა: ფუ რა დებილი ხარ ამხელა ქალი ,,დღეს კარგად გამოსკდებოდა'' (გამოაჯავრებს ნათიას). შენ არ იყავი, მთელი გზა ნერწვებს რომ ყლაპავდი გურანდასნაირ ჩაქაფულს ამ სამყაროში ვერავინ აკეთეთებსო? შენ არ იყავი?

ნათია: მერე ტყუილია? ტყუილია?!

ზიკა: ხო კაი გეყოფათ, თქვენ საიდან გაიგეთ?

ნათია: რა საიდან გავიგეთ გოგო?! მივედით გამოპრანჭულები, ყვავილებით საჩუქრებით, ვაკაკუნეთ, ვაკაკუნეთ კარზე ერთი საათი და არ გვიღებს არავინ.

ზიკა: ხო აქ იყვნენ შვილებიც და რძლებიც ცოტა ხნის წინ წავიდნენ, ძალით გავყარე, ბავშვები, სამსახური... მერე?

ნათია: მოკლედ ვაკაკუნეთ, ვაკაკუნეთ, თავიდან ვიფიქრეთ, რაღაცას ხომ არ გვიწყობსო, ხო იცის უყვარს მაგას უცნაური სიურპრიზები; და მერე რო აღარავინ გამოჩნდა მეზობელთან დავრეკეთ ზარი. იმან გვითხრა, გურანდას ამ დილას გაჟონვა დაემართა და საავადმყოფოში წევსო. ე.ი. თუ ჭკუიდან არ შევიშლებოდი არ მეგონა.
იქვე გამოვიძახეთ ტაქსი, ამ მახინჯს უსწავლია ტაქსის გამოძახება და ჭკუაზე არ არის სიხარულისგან.

ნანა: რო კითხო პროფესორია, ტვინი გადმოსდის და ტაქსის გამოძახება დიდი საქმე გონია. ფეისბუქი ამას არა აქვს და...

ნათია: მოკეტე მახინჯო! არ გესმის ? შენი ხმა აღარ გავიგონო, ეს ოროსანი კიდე რო ხმას იღებს. შენც გირეკავდით ქალბატონო და , - გასულია მომსახურების ზონიდანო. სად ბრძანდებოდი? (ზიკას)

ზიკა: დასატენი მქონდა მობილური, სად ვიქნებოდი დილიდან ამასთან ერთად ვარ და გამეთიშა.

ნათია: მერე დავურეკეთ ბუკას, ხო არ იცი გურანდას ამბავითქო და იმან გვითხრა აქ წევს ჩემთანო.

ზიკა: ხოო, გადაყვა, ნახე რა გაწკრიალებულია აქაურობა, რო მოვედით ოთხი სანიტარი გიჟებვით დარბოდნენ წინ და უკან.

ნათია: და შენ საიდან გაიგე?

ზიკა: იქ ვიყავი გოგო! იქ! ეს უბედურება რომ დაემართა, ნეტა არ მენახა ! ნეტა ეს არ მენახა...

ნანა: კაი რაა...

ზიკა: აბა?!ერთი კვირის წინ შემითნხმდა გამყევიო, პირველი იყო ჩაწერილი სალონში -ცხრაზე. მანამდე მკერავთან გაქცეულა, ბოლო ,,პრიმერკაზე''. სხვათაშორის არ მომეწონა რო დავინახე, რაღაც აწითლებული იყო სახეზე.

ნათია: ოხ დაიწყო ახლა ნათელმხილველობა

ზიკა: რა არ გჯერა?

ნანა: მერე, მერე? ამას ნუ უსმენ

ზიკა: ჯერ ხო თმა შეიჭრა და შეიღება, სანამ საღებავის ჩამობანის დრო მოვიდოდა, მანიკიურზე დაჯდა. მანიკურს რომ მოჩა ახლა თმა დაბანეს, მერე ერთი საათი ფენის ქვეშ და ბარემ პედიკურასაც გავიკეთებო დაჯდა იმ დაწყევლილ სკამზე, ჩაყო ფეხები ცხელ წყალში და

ნათია: და მანდ დაენძრა ხოო?!

ზიკა: აბა გოგო?! გადააგდო თავი გვერდზე და რას ვხედავ ნახევარი სახე აქეთ წაუვიდა და ნახევარი იქით.

ნანა: დედა ჩემი სიკვდილი! ეგ ნანახი მაქვს, ბაბაუაჩემს რომ დაემართა გაჟონვა, სკოლაში უნდა წავეყვანე და უცებ ვხედავ სახე თანდათან როგორ მოექცა, ახლაც ცუდად ვხდები ის რომ მახსნდება.

ნათია: მერე შენ რისთვის ახლდი? (ზიკას)

ზიკა: მე რა შუაში ვარ?

ნათია: პასპორტში ვერ ჩაახედე? ან დაბადების მოწმობაში? ფუი! თქვენი ბატის ტვინა დედები... ვერ უთხარი ქალო სამოცდაათს უკაკუნებ და რაღა დროს შენი ასეთი ამბებიათქო, ვაახ!

ნანა: ოხ, თვითონ კარგად გამოიპრანჭა და სხვაზე ლაპარაკობს

ნათია: რა არის გამოპრანჭვა? ეს არის გამოპრანჭვა შე მახინჯო? წელიწადში ერთხელ რომ თმას შეიღებავ?

ნანა: შენთვის ეგ არის.

ნათია: სად წევს ეგ საცოდავი ახლა?

ზიკა : აგერ, არ იცოდით?... *(ანიშნებს ფარდაზე და გადაწევს.)*

სპეციალურად მოწყობილ ნიშაში დგას საწოლი და საწოლში წევს გურანდა, რომელიც ბევრი სადენებით არის შეერთებული სხვა და სხვა აპარატზე. ავადმყოფი არ ინძრევა და თვალებიც დახუჭული აქვს.

ნათია და ნანა საწოლთან ფეხაკრეფით მიდიან და გურანდას დიდხანს უყურებენ , ხმას არც ერთი არ იღებს.

ნათია: ჩემი სიკვდილი, რატო ვარ ცოცხალი, ამას ასეთს რომ ვხედვ.

ნანა: ღმერთო რა საშინელებაა, რა არის ჩვენი ცხვრება, გუშინ ისეთი გახარებული იყო, ისეთმა ბედნიერმა მელაპარაკა, ამას წარმოიდგენდა?! ამას წარმოვიდგენდი?...

ნათია: ვერ გვითხრი აქ თუ იწვა ბოლო ხმაზე რომ გავკიოდით?

ზიკა: მაგისთვის ახლა არა მგონია რამე მნიშვნელობა ქონდეს, ჩვენ ხმამაღლა ვილაპარაკებთ, თუ ჩურჩულით.

კარი იღება და წითელთმიანი მათივე ასაკის ქალი (ელა) პალატაში შემოდის. პირდაპირ გურანდასთან მიაჭრის, ტირილნარევი ხმით იწყებს ლაპარაკს.

ელა: გურანდა...ჩემი გურანდა, ეს რა დაგემართა? ნახე რა მოგიტანე ჩემო საყვარელო (ხელში პატარა სასაჩუქრე პარკი უჭირავს), ეს რა დაგემართა, ჩემო გურანდა

ნათია: გოგო რას მოთქვამ ცოცხალია ქალი, რა მკვდარივით დასტირი ? აუუ ამდენი გიჟების გაძლება არ გინდა ?!

ელა: ამას წარმოვიდგენი, ამას ასეთს თუ ვნახავდი დღეს ? ამას როგორ წარმოვიდგენდი?

ნათია: ვერც თვითონ წარმიდგენდა, მაგრამ მთავარია უიმედო არ არისო ბუკამ.

ელა: მართლა, რაო ბუკამ? აქ არის? ელაპარაკეთ? რა გითხრათ?

ზიკა: რამდენიმე დღეში გაირკვევა ყველაფერიო, სასიკვდილო არაფერი სჭირს, მაგრამ მთლიანად მოხდება მისი გამოჯანმრთელება, თუ ნაწილობრივ შეძლებს რეაბილიტაციას, ჯერ მის ორგანიზმზე და მერე მის შინაგან განწყობაზეა დამოკიდებული ყველაფერიო.

ელა: უი, ღმერთო, ღმერთო...(პირჯვარს გადაიწერს ელა).

ნანა: შენ სადან გაიგე?

ელა: ჩემი ანკა და ამის ოთო ხო ერთად მუშაობენ. ანკამ დამირეკა, დე იცი რა მოხდაო?... აქ ტუალეტი სად იქნება ხომ არ იცით?

ზიკა: ყველაფერი საკუთარი აქვს ამ პალატას. აგერ მიბრძანდი (ანიშნებს პატარა კარზე. ელა ტუალეტში გადის.)

ზიკა: მე ვიფიქრე ბუკამ დაურეკა, თურმე ანაკას უთქვამს.

ნანა: რა კიდე რამე ხდება მაგას და ბუკას შორის?

ნათია: უჰჰ?! რა იყო შენ ისევ ხომ არ ეჭვიანობ?

ნანა: აუუ მორჩი რაა, რაღა დროს ბუკაა

ნათია: რა ვიცი, რა ვიცი წეღან კი უპრაწავდი თვალებს და მე რომ არ წამომეყვანე შეიძლება შენც იქ გაშოტილიყავი.

ზიკა: რატო, ამას რაღა სჭირს?

ნათია: ესე შესუნთქული იდგა, შეწია მუცელი და აღარ სუნთქავდა

ნანა: მორჩი რაა.

(ელა ტუალეტიდან გამოდის)

ნათია: რა იყო , სახლში ტუალეტი არ გავს?

ელა: გოგო, მე ხო ნერვიულობაზე სულ ეგრე მემართება, ეგრევე კუჭი მეშლება.

ნათია : ახლა რამ აგანერვიულა, გურანდას ამბავმა, თუ ბუკას დანახვაზე აგეშალა კუჭი.

ელა : ჰა, ჰა, ჰა, რა საზიზღარი ხარ, ბუკა სად ვნახე ჯერ? ბოლოს როდის ვნახე არც მახსოვს. აქ არის?

ნათია: დიახ ქალბატონო და მინდა გითხრათ რომ თავისი ასაკისთვის ახლაც მშვენივრად გამოყურება.

ნანა: ოო, კაი რაა , რა ასაკია ახლა ამისთანა.

ნათია : პრინციპში მაგაში არ შეგეწინააღმდეგები.

ელა : გავალ, ვნახავ სად ზის?

ელა წამოდგება, წასვლას დააპირებს, მაგრამ ნათია ლაბადის ბოლოთი დაიჭერს და გააჩერებს.

ნათია: დაბრძანდით ქალბატონო, დაბრძანდით. აქ რისთვისაც მოხვედით? არ სცალია ბუკა ექიმს. ისვენებს.

ელა : ააა?! კი ბატონო როგორც იტყვით.ვინმემ იცით რატო დაემართა?

ნანა : ეს ქალბატონი ყოფილა იქ (ზიკაზე ანიშნებს).

ელა: მართალა? როგორ მოხდა? ცუდად იყო? რავი გუშინ დამირეკა, ხო მოდიხარ ჩემს დაბადების დღეზეო, მშვენიერ ხასიათზე იყო, ხმაზეც ვერაფერი შევატყვე...

ნათია: არაფრიც არ სჭირდა, ხოშიანად იყო. საერთოდაც არაფერი არ აწუხებდა, დილიდან წაბრძანებულან ერთად ეს და გურანდა სალონში, ეს ფრჩხილებიო, ეს თმების შეღებვაო , მერე ერთი საათი ფენის ქვეშ მჯდარა და ეტყობა უკვე ვეღარ იყო, კიდე კარგად გაუძლია, მე სალონში უბრალოდ რომ შევიხედავ მაშინვე ცუდად ვხდები, ისე ვერ ვიტან ვერც იმ სუნს და ხმაურს ხო საერთოდ, მაშივე თავბრუ მეხვევა.

ელა: ე.ი. შენ დილიდან ამასთან ხარ?

ზიკა: კი და ღამეც აქ ვრჩები

ელა: მეც დავრჩები თუ გინდა?

ზიკა: კი ბატონო

ნანა: ისე ეგ მეც ვიფიქრე ხომ არ დავრჩეთქო?

ნათი: აუ, რა ხდება კი მაგრამ?! ყველანი თუ რჩებით, მე რა თქვენზე ნაკლებად მიყვარს გურანდა, თუ...

ნანა: მართლა დავრჩეთ რაა, ტორტს გამოვიძახებ და ,,ჰეფი ბიორს დეიც'' ვუმღეროთ ბარემ , ცოდო არ არის?

ელა : დარწმუნებული ვარ გურანდასაც ძალიან გაეხრდება.

ნათია: კი როგორ არა სულ მაგაზე დარდობს ახლა გურანდა. ერთი როდის მიმღერებენ ჩემი გა...გამოშტერებული დაქალებიო.

ზიკა: გინდათ მაგარი რაღაც გითხრათ.

ნათია: გამოუშვი

ზიკა: ბუკამ მითხრა რახან ღამე აქ რჩები, ყველა რომ წავა ისეთ გამოკვლევას გაგიკეთებ ათასები რომ ღირსო. რაღაც უახლესი აპარატურა შეუძენიათ, დგახარ ასე ფეხზე და ერთ წუთში თმის ღერიდან-ფეხის ფრჩხილებამდე ყველაფრის დიაგნოზს გისვამას. თან უტყუარს.

ელა: კაი კაცო? სერიოზულად? აბა არც მე აღარ ვარ არსად წამსვლელი.

ნათია: ამისთვის უთქვამს, ამისთვის! მთელ კლასის გამოკვლევას კი არ აპირებს!?...

ზიკა: დარწმუნებული ვარ არც თქვენ გეტყვით უარს.

ნანა: მორჩა ! ვიძახებ ტორტს!

ნათია: ეე მახინჯო?! მარტო ტორტი რა არის ბარემ სასმელიც მოაყოლე.აქ თუ ვრჩებით არ მოგვშივდება? ან იუბილარის სადღეგრძელო არ უნდა დავლიოთ?

ნანა: კი ბატონო, იყოს. აბა რაა. ძალაიან მაგარი ახალი საკონდიტრო გაიხსნა, ამ ბოლო დროს ყველაფერს მანდედან ვიძახებ სახლისთვისაც.

ელა: ჩვენც დავდებთ რაა, მარტო შენ რატომ უნდა დაიხარჯო?

ნანა: კა , არ არის პრობლემა

ნათია: მაგიტოა ასე გასიებული დღე და ღამ გამოძახებაში როა

ელა: კაი დაანებე თავი, რას ერჩი, მაინც აქვს შემორჩენილი ძველი ეშხიც და სილამაზე

ნათია: კი როგორ არა, ერთი შენა ხარ ძველებურად და მეორე ეგ

ნანა ტექსტს კრეფს და ნათიას ლაპარაკს აინუნშიაც არ აგდებს.

ნანა: აი , აბა მომისმინეთ, კიდევ რამე ხომ არ დავამატო? ტორტი, ხაჭაური ორი ცალი , კუჭმაჭი, მწნილი, ფხალის ასსორტი, ყველს ასსორტი, ორი ბოთლი შამპანური

ნათია: სამი იყოს

ზიკა: რა ამბავია, მეტი რაღა უნდა გვინდოდეს? და ჭურჭელი? აქ სადმე ჭიქები და თეფშები არ იქნება ნეტა?

ნანა: მაგასაც მოიტანენ.

ელა : ხოდა ძალია კარგი

ნათია: ე.ი. ასეთი არაფერი მინახვს, ქალი ტელეფონს წამით ხელიდან არ უშვებს, ადრე რომ შევხვდებოდით, რაღაცას მომიყვებოდა, რაღაცას მოვუყვებოდი , ახლაა?! ...არა გენაცვალე არის ასე ჩაფრენილი და მეტი არაფერი ამ ქვეყანაზე რა ხდება სულ ცალ ფეხზე კიდია.

ნანა: ქვეყანაზე რაც ხდება აქ წერია ყველაფერი ჰაჰაჰა, ახლა იმაზეა გამწარებული , ამასწინათ დამტენი დამრჩა და უკან მოვბრუნდით. ვერ მოინელა დღემდე.

ნათია: გაჩუმდი შე მახინჯო, უკან მოვბრუნდით იცით რას ნიშნავს? ქალაქგარეთ ხომ არ გინდა გავისეირნოთო, დამირეკა ამასწინათ. კარგი გავისეირნოთ-მეთქი, ვიფიქრე რამდენი ხანია ბუნების წიაღში არ გავსულვარ, ცოტას ფეხს გავშლი, სადმე ტყისპირას ჩამოვჯდებით, ვგიჟდები ისე მიყვარს ჯერ მიწაზე ისევ შემოდგომის ფოთლები რომ ყრია და აქა-იქ ყოჩივარდები რომ ამოყოფენ თავს

ელა : აუუ ისე მართლა რა საოცრებაა. დაკრიფეთ?

ნათია : დავკრიფეთ?! ჯერ ხო ორი საათი ქალაქიდან ვერ გავაღწიეთ ისეთი საცობი იყო. უცებ მეუბნება, ნათი, არ გამიბრაზდე რაა (გამოაჯავრებს) სახლში უნდა

მივბრუნდეთ რაღაც დამრჩაო. კაი მეთქი, ვიფიქრე ამ სკლეროზიანს იქნებ უთო დარჩა ჩართული, ან გაზი, იქურობა არ გადაბუგოს-მეთქი. მოატრიალა უკან მანქანა და ვეკითხები, ჰა უთო დაგრჩა- მეთქი? არა მობილურის დამტენიო.

ზიკა: ჰაჰაჰა, ისე მეც ვერ ვიტან მობილურის გარეშე დარჩენას.

ნათია: ჯერ ერთი, მე მქონდა დატენილი მობილური და თუ რამე მივცემდი, მეორეც ორი საათი რომ საცობში დგახარ და უკან ბრუნდები...

ზიკა : არ უნდა დათანხმებოდი

ნათია: მანქანა რომ მოაბრუნა მერე მითხრა დამტენიო თორემ ეგ მცოდნოდა?!... ეგ მცოდნოდა?!

ზიკა: მერე, მერე?

ნათია: ისე ამეშალა ნერვები, ისე ამეშალა, სახლში დამტოვე-თქო, მაგრამ არაფრით არ ქნა და მანქანიდან ხომ არ გადმოვხტებოდი? აბრძანდა, ჩამობრძანდა და დავადექით ისევ იმ გზას და ვეკითხები, რამდენ პროცენტზე გქონდათქო ეგ დასწვავი ტელეფონი და 80-ზეო, წარმოგიდგენიათ 80-ზეო!

ნანა: ხო მაგრამ...

ნათია: მოკეტე! ახლა ისევ თავიდან ვდავართ საცობში, ასე კუს ნაბიჯებით მივდივრთ, მივდივართ, ერთ მეტრს გავივლით 10 წუთი ვდგავართ, ერთ მეტრს გავივლით 10 წუთი ვდგავართ.. ეს ისევ თავით არის ამ ტელეფონში გზასაც კი არ უყურებს. საერთოდ არ მცემს ხმას, არც არაფერს მეკითხება, არც არაფერს მიყვება, ხომ გახსოვთ ადრე რა ტიპიც იყო, იმდენს ქაქანებდა სიტყვას ვერ ჩააკვეხებდი, ახლა შეუძლია მთელი დღე ხმა არ ამოიღოს. აი ახლაც გგონიათ რამე ესმის რასაც ჩვენ აქ ვლაპარაკობთ, არაფერი.

ზიკა:გოგო, ვინმე ხომ არ ყავს და იმას ემესიჯება, ჰა?

ელა : ნეტა ყავდეს, მერე მაგას რა ჯობია...

ნათია: ვინ უნდა ყავდეს გოგო ამ გადაღრძუებულ ბებერს.

ელა : აი შენ რა იცი?...

ზიკა : ნანა! ნანა! (ეძახის) მართლა არ ესმის, კაი გააგრძელე რასაც ყვებოდი.
ნათია: ნანა! ნანა! აა?! ესმის ახლა ამას რამე ? ხო დარწმუნდით, ვერ არის კარაგდ საშველია აშკარად! ხოდა იმას ვყვებოდი. ვდგავართ ისევ საცობში, უცებ გაიხსნა გზა და დაიძრნენ მანქანები, ეს დგას ჯორივით, მე არ ვიმჩნევ და განგებ ხმას არ ვცემ. ატყდა, მარა რა ატყდა, სიგნალები, ყვირილი, გვაგინებენ! გვაფურთხებენ, მე

ისევ ჩუმად ვარ, ეს ზის ნეტარი სახით. ბოლოს ვიღაც მოვიდა და გაწარებულმა ფანჯარაძე ისეთი მოგვიბრახუნა, ვიფიქრე მინა არ ჩატყდესთქო. - უიო! დაიძახა, დიდი ბოდიშიო იმ კაცს უთხრა და ვერ ქოქავს მანქანას. ხან აქედან აჭერს გაზს , ხან იქიდან და არაფერი...
მეუბნება, ეტყობა ბენზინი გამითავდაო, უიო! წარმოგიდგენიათ?! ტელეფონის დამტენზე ოთხი საათი მატარა წინ და უკან და ბენზინი ქონდა თუ არა არც დაინტერესებულა. გადმოვედით მანქანიდან, მე შენ გეტყვი არ ვიყოთ ჩვენც 20 წლის წიწკვი გოგოები რომ ვინმემ, გვკითხოს - რამე ხომ არ გიჭირთ ლამაზებოოო?! კაციშვილი არ გვიჩერებს. ეს კიდე დგას და კიდე მობილურში იყურება, იმის მაგივრად რომ გაინძრეს და რამე მოიფიქროს, ვიფიქრე ახლა გამოვტაცებ და თავზე გადავამტვრევ მეთქი და ამ დრო მესმის ხმა, - ქალბატონო ნათია, ქალბატონო ნათია, რა ხდება ? რამე ხომ არ გიჭირთ? გავიხედე და ჩემი ყოფილი სტუდენტი არ იყურება მანქანიდან. ერთი პირობა კი გავიფიქრე , გავყვები ქალაქში და ამას თავში ქვა უხლიათქო, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ გავიმეტე, მოკლედ იმის გამზრდელს გაახარებს ღმერთი, გადმოვიდა, ჩაგვისხა ბენზინი, ჩავსხედით, დაიქოქა ეს დედააფეთქებილი მანქანაც და რაა? უკვე ბინდეება, რაღა დროს ტყე და ყოჩივარდებია, ერთი კი წამოიკნავლა, სანამ დაღამდება კი მოვასწრებთ წყლის პირას მისვლასო, მაგრამ ისეთი გადავხედეე, იქვე ჩაკვდა! აი ასეი დაუვიწყარი პიკნიკი მომიწყო.

ელა: ფაქტიურად ნოველა მოყევი, მშვენიერი პატატა ფილმი გამოვიდოდა. დღეს რა რიცხვია?

ნათია: რა რიცხვი იქნება, გურანდას დაბადების დღეა?

ელა: უიი , ხოო

ნათია: ერთი ეს არი რა კიდე...

ზიკა: გოგო, მართალია ეს ამბავი? გოგო! ნანა! ეს მართლა სამკურნალოა(ნანას).

ზიკა ბრაზდება მიდის და ტელეფონს გამოსტაცებს, ნანა მხოლოდ ახლა მოდის აზრზე. ცდილობს მობილური უკან დაიბრუნოს, მაგრამ ზიკა არ აძლევს, მისწვდება თუ არა ის ნათიას უგდებს, ნათია ისევ ზიკას. ნანა უაზროდ წინ და უკან დარბის. მობილური რეკავს. ზიკა საწოლზე ახტება და ხელს ტელეფონით მაღლა ასწევს. ელა ამ ყველაფერს თავისი მობილურით იღებს და თან ჩაბჟირებამდე იცინის.

ნანა: აი გლოვოა! გლოვო მირეკავს!

ზიკა : იყოს მერე.

ნანა: კაი რაა, რა ხუმრობაა? თუ არ ვუპასუხე წავა

ზიკა: მაშინ მოყევი ახლა რაც გაიგონე და კი ბატონო დაგიბრუნებ

ნანა: აუუ, გეფიცები მართლა გლოვო მირეკავს, პროდუქტი მოიტანეს,რაც შევუკვეთე

ზიკა: ხოდა ჩადი და ამოიტანე რათ გინდა ტელეფონი, ისე ვერ ამოიტან?

(ზიკას ხელი აქვს მაღლა აწეული, ნანა ისევ ცდილობს წაართვას მაგრამ ვერ სწვდება.)

ზიკა: (პასუხობს) დიახ , დიახ! მოხვედით? ცენტრალურ შემოსასვლელეთან ხოო? კი ბატონო ახლავე ჩამოვალთ. (ელას) მიდი გოგო გაყევი, თუ რამე აგერ ვართ.

ნანა ხვდება, რომ აზრი არა აქვს შეწინააღმდეგებას და ოთახიდან გადის , ელაც გაყვება.

ნათია: ნახე ერთი რას იყო ჩაშტერებეული?

ზიკა ჯერ ცოტას შეყოყმანდება, მაგრამ საწოლიდან ჩამოდის და ნათიასთან ერთად ჩააშტერდება ნანას მობილურს.

ნათია : რაო?

ზიკა: (კითხულობს ნანას მესიჯს) ,, შენ რას ფიქრობ, ჩემი კლასელები უფრო ახალგაზრდულად გამოიყურებიან, თუ მე? ''

ნათია: ვის ეკითხება?

ზიკა: რავი სახელი არ ჩანს

ნათია: ის რას პასუხობს?

ზიკა: ,,შენ რა თქმა უნდა''

ნათია: ვაი შენს პატრონს

ზიკა: ვინ არის? ვის ეკითხება? ე.ი. ის ჩვენც გვიცნობს ხოო?!

ნათია: ხოო, აბა ნათელმხილველი ხომ არ იქნება ?

ზიკა: (ასქოლავს)

- ,,დღეს დილას წამალის დალევა ხომ არ დაგავიწყდა ძვირფასო? ხო იცი ეგ ჭამის დროს უნდა მიიღო''- რა წამალს სვამს ეს გაჭირვებული?

ნათია: ქოლესტერინის

ზიკა: როგორც ჩანს ძალიან ახლოს არიან რახან ასეთი დეტალები იცის. უიი, ის ხომ არ არის ? ძველი შეყვარებული, გავიგე ჩამოსულიაო, ხო იცი შემხვდა, უფრო სწორედ დავიხე და არ მივედი, მაინც ვერ გამიხსენებდა. რას დამსგავსებია გოგო? ვინც არ იცნობდა დააჯერებ რა ბიჭი იყო?

ნათია: ოო, ეს ხო ვარსკვლავებს წყვეტს

ზიკა: მაშინ მითუმეტეს ,,ფერი-ფერსაო''

ნათია: რა ვიცი, არამგონია ის იყოს. მიდი, მიდი, სანამ მოსულან წაიკითხე კიდევ რას წერენ ერთმანეთს.

ზიკა : ჩემს კლასელს ინსულტი დაემართა, რას ფიქრობ მალე გამოვა ამ მდგომარეობიდან ?

ნათია: ოჰ, ეტყობა ექიმია

ზიკა : შენთვისაც არ უთქვამს?

ნათია : საერთოდ არაფერი! კრინტი არ დაუძრავს, რომ ვინმეს ხვდება

წაიკითხე ერთი ეს რას პასუხობს?

ზიკა: -,, ძვრფასო, ინსულტის შემდეგ მდგომარეობა ძალიან ინდივიდუალურია და ბევრ რამეზეა დამოკიდებული. მაგალითად:

- რამდენად მძიმე იყო ინსულტი
- რომელი ნაწილი დაზიანდა ტვინში
- რამდენად სწრაფად მიიყვანეს საავადმყოფოში
- რეაბილიტაციას თუ დაიწყებს დროულად

ზოგი ადამიანი რამდენიმე კვირაში უკვე საგრძნობლად უმჯობესდება, ზოგს კი თვეები სჭირდება. არის შემთხვევებიც, როცა თითქმის სრულად აღდგებიან, განსაკუთრებით თუ ინსულტი მსუბუქი იყო და მკურნალობა სწრაფად დაიწყო.

ყველაზე მნიშვნელოვანი ინსულტის შემდეგ არის:

- ექიმების მკურნალობა, რეაბილიტაცია (ფიზიოთერაპია, ლოგოპედი და სხვ.)
- მოთმინება და მხარდაჭერა

- მძიმე ინსულტი იყო თუ შედარებით მსუბუქი? ლაპარაკობს თუ მოძრაობს ახლა?

ზიკა : ეს პასუხობს ახლა - ,,რავი გაინძრევლად წევს, ისე დროულად ჩაუტარდა ყველაფერი და კლინიკაშიც მაქსიმალურად მალე მიიყვანეს ‘’

ზიკა: ახლა ისევ ის პასუხობს-,, ინსულტის შემდეგ პირველ დღეებში ხშირად ხდება, რომ ადამიანი საერთოდ ვერ მოძრაობს. ეს აუცილებლად არ ნიშნავს, რომ ასე დარჩება. თუ ყველაფერი დროულად ჩაუტარდა (ექიმები, წამლები, მკურნალობა), ეს უკვე კარგი ნიშანია.

ბევრ ადამიანს თავიდან ძალიან მძიმე მდგომარეობა აქვს, მაგრამ მერე ფიზიოთერაპიით და მკურნალობით ნაწილობრივ ან საკმაოდ კარგადაც აღდგება. ძალიან მნიშვნრლოვნია: ვარჯიში, მასაჟი , მოთმინებაც.

ზიკა და ნათია მობილურს არიან ჩაშტერებულები.

ზიკა : ახლა ისევ ეს ეკითხება, ჩვენი დებილი. - ბუკა ღაღანიძე გეცოდინება ჩვენი კლასელია ის მკურნალობს.

ზიკა: პასუხი: დიახ, ბუკა ღაღანიძე მართლაც ცნობილი და ძალიან კარგი ნევროლოგი/ნეიროქირურგია. ინსულტისა და ტვინის დაავადებების სპეციალისტი. თუ ის მკურნალობს, ეს ნამდვილად კარგი ნიშანია.

ინსულტის დროს ყველაზე მნიშვნელოვანია: სწორი დიაგნოზი, სწრაფი და პროფესიონალური მკურნალობა და შემდეგ რეაბილიტაცია.

თუ ასეთი გამოცდილების ექიმი უყურებს პაციენტს, ჩვეულებრივ ყველა საჭირო ნაბიჯი კეთდება.

ისიც უნდა იცოდეთ, რომ ინსულტის შემდეგ ხშირად ადამიანი თავიდან უმოძრაოდ წევს, მაგრამ მერე ნელ-ნელა იწყება გაუმჯობესება — ზოგჯერ დღეების, ზოგჯერ კვირების ან თვეების განმავლობაში. ტვინს აღდგენისთვის დრო სჭირდება. ზოგჯერ კი უმძიმესი ავადმყოფი შეიძლება მეორე დღეს გამოჯანმრთელდეს. ეს ძალიან იშვიათად მომხდრა, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი მაგალითებიც არსებობს.

ნათია : აუუ ვინ. არის? კითხე რა სახელი, გვარი? ეტყობა ვიცნობთ და მაგიტომ გვიმალავს.

ზიკა : ეგ რო ვკითხო ხო ეგრევე მიხვდება და რომ ნანა არ სწერს.

ნათია: ააა?! ხოო, მართალი ხარ, მოცა, მოიცა ახლავე ყველაფერს გავიგებ.

ზიკა : რაღაც ისე უნდა ვკითხოთ, რომ თან ვერ მიხვდეს, რომ ნანა არ წერს და თან ჩვენთვის სასურველი პასუხი მივიღოთ.

ნათია: მიდი ჩემზე კითხე, ნათია ასათიანზე რას მეტყვი, ხელოვნებთმცოდნე როა ჩემი მეგობარი, შენი აზრი მაინტერესებსთქო

ზიკა: ოკ, (წერს, თან ხმამაღა ახმოვანებს) ,, ნა-თი-ა ასა-თიანზე რას მეტყ-ვი, ხელოვნებთმცოდნე , შენი აზრი მაინტერესებს?'' - აი პასუხს მწერს უკვე

ნათია: რა ჩქარ-ჩქრა წერს ეს ოხერი? დაფიქრებაც არ სჭირდება. ეტყობა ძალიან ახალგაზრდაა და ეგ უთყდება ამას, ...რაო? რამე ისეთი არ მოიწეროს თორემ ჩემი ხელით მივსიკვდილებ.

ზიკა: ,, ნათია ასათიანი საქართველოში ცნობილია, როგორც ხელოვნებათმცოდნე და კურატორი. ის მუშაობს თანამედროვე ხელოვნების სფეროში — წერს სტატიებს, აკეთებს გამოფენებს და ხშირად მონაწილეობს კულტურულ პროექტებში, მათ შორის გამოცემული აქვს წიგნები ცხნობილი მხატვრების შემოქმედებაზე.''

ნათია: ყოჩაღ ბიჭო! ეს ეტყობა მართლა კარგად მიცნობს.

ზიკა: აშკარად! (აგრძელებს კოთხვას),, ნათიას თანამედროვე ხელოვნების და კულტურული პროექტების სფეროში კარგად იცნობენ. რატომ მეკითხები ნათიაზე? რამე პრობლემა ხომ არ გაქვთ ურთიერთობაში?'' ახლა ვითომ ეს პასუხობს რა მივწერო?

ნათია: - მიდი მიწერე, - ,,არა ისე გკითხე, ამ ბოლო დროს სულ გაბრაზებულია ჩემზე, თან რატომ ვერ ვხვდები. შენი აზრით ჯიგარია? შეიძლება მისი ნდობა?

ზიკა: ახლავე , მერე ჩემზეც უნდა ვკითხო.

ნათია: ვნახოთ ერთი რას მოიწერება, შემახედე , მართლა რა ჩქარა წერს გოგო , ეტყობა ძალიან ახლგაზრდაა, ახლა გასაგებია რატომაც გვიმალავს.

ზიკა : (პასუხს კითხულობს) **- ,,**მე პირადად ადამიანებზე ისეთი შეფასება, როგორიცაა ,,ჯიგარია თუ არა", ზუსტად ვერ გეტყვი, იმიტომ რომ მე პირადი ურთიერთობა არ მაქვს კონკრეტულად ნათიასთან. მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ ნათია ასათიანი ხელოვნებათმცოდნეობის სფეროში აქტიური ფიგურაა, მონაწილეობს გამოფენებში, წერს და მუშაობს კულტურულ პროექტებზე.ჯიგარია თუ არა, ამას ჩვეულებრივ ადამიანები აფასებენ, ვინც მას პირადად იცნობენ ან მასთან უმუშავია. თუ გინდა, მითხარი, შენ რას ფიქრობ მასზე?''

ნათია: მიწერე- ,,მგონი შენზე ეჭვიანობსთქო.''

ზიკა:(დამარცვლით) ,,მგო-ნი შენ- ზე ეჭ-ვი- ანობს''. **ა**ი მპასუხობს:- ..ძვირფასო, ასეთი რამ საკმაოდ ბუნებრივია. როცა ადამიანები ბავშვობიდან მეგობრობენ, ხშირად აქვთ ძლიერი მიჩვევა და ხანდახან ჩნდება პატარა ეჭვიანობა, თუ მეგობარი სხვასთანაც ბევრს ლაპარაკობს ან დროს ატარებს.''

ნათია:დროს ატარებსო?! ჰმ?! ... მგონი მოდიან. ჩქარა დამალე

ზიკა : (ხმამაღლა ახმოვანებს რასაც წერს) -,,ახლა რაღაც საქმე გამომიჩნდა ბოდიში ძვირფასო. ცოტა ხნით უნდა დაგემშვიდობო.

შემოდიან ნანა და ელა სავსე პარკებით და ყველაფერს მაგიდზე აწყობენ.

ნათია : რა ხდება რა ამბავია? ამდენი რათ გვინდოდა?

ნანა: კაი მომეცით ახლა ჩემი მობილური (ხელს გაუწვდის ზიკას).

ზიკა: ვერ მოგცემთ

ნანა: კაი რაა, საკმარისია...

ზიკა : რა არის საკმარისი, შენ ჩვენთან ხარ თუ ამასთან (მობილურზე)

ნათია: ხოო, დიახ! დიახ! ჩამოყალიბდით რაა, ქალბატონო...

ნანა: რაზე უნდა ჩამოვყალიბდე?

ზიკა : ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ არც ერთი არ ჩავიხედებით ტელეფონში სანამ აქ ვიქნებით! ბოლოს და ბოლოს ერთ ღამეს მაინც გავატარებთ ერთმანეთისთვის და გურანდასთვის, ვინც ამ წესებს არ დაემორჩილება მიბრძანდეს! კარი ღიაა!...

ნათია: (აღფრთოვანდება ზიკას იდეით) მე თანახმა ვარ, ისედაც არაფერში მჭირდება (მიაწვიდის თავის მობილურს).

ელა : კი ბატონო (ელაც ამიღებს ტელეფონს და ზიკას აძლევს).

ნათია : ვისაც ჩვენთან ჩახუტებას ტელეფონთან ჩახუტება ურჩევნია მიბრძანდეს თავის მობილურიანად (ხელს გაიშვერს კარისკენ).

ზიკა: ესეც ჩემი მობილური

ნანა ყოყმანობს. მერე ხელს ჩაიქნევს და საწოლზე ჩამოჯდება.

ნანა: კი მაგრამ რამე რომ მოხდეს როგორ უნდა დაგვიკავშირდნენ?

ნათია : აგერ ბატონო ქალაქის ტელეფონი და მოგვძებნიან, ნუ გეშინია ერთ ღამეს გადაიტანენ უშენოდ.

ნანა: მაინც სად აპირებთ დამალვას?

ნათია: ეგ საიდუმლოა და შენ მითუმეტეს არ უნდა იცოდე.

ზიკა : გურადნასთან, იმედია იქ არავინ დაიწყებთ ძებნას. ავადმყოფის განძრევა აკრძალულია!

ნათია: ეგრე რაა, გამოსწორების გზაზე დგახარ!

ზიკა ფარდას გადაწევს და მობილურები გურანდასთან შეაქვს. კარი იღება და კიდევ ერთი მათი კლასელი ლიკა შემოდის.

ლიკა: გამარჯობა

ნათია: ოჰ, გაგიმარჯოს! რა იყო სუნზე მოგვაგენი?

ლიკა: დღეს ძალიან ბევრი საქმე მქონდა და ახლა მივედი გურანდასთან სახლში, იქ მითხრეს, არადა ერთი სული მქონდა, მთელი დღე მიხაროდა საღამოს ჩემს გოგოებს ვნახავთქო .

ელა : ეეჰ?! ჩვენც ძალიან გვიხაროდა, მაგრამ?!... ღმერთო გადაარჩიე და ჩვენი ძველებური გურანდა დავიბრუნე.

მაგიდაზე ხვავიანი სუფრა იშლება.

ზიკა: (ხელს გაუწვდის) ტელეფონი!

ლიკა: რა ტელეფონი?

ნანა: აქ ტელეფონების კონფისკაცია მიდის. ვინც წესებს არ დაემორჩილება აქედან უშვებენ.

ლიკა: რა ტელეფონი? რაღა დროს ეგ არის? მე დიდი ხანია ტელეფონზე უარი ვთქვი და თავს მშვენივრად ვგრძნობ

ნათია: ეს კიდე მეორე უკიდურესობა, და რამე რომ მოხდეს როგორ უნდა გაგაგებინოთ?

ლიკა: შენ მაგაზე არ იდარდო, ვისაც ჩემი ნახვა უნდა მშვენივრად მპოულობს

ნანა : მე კიდე ეკლებზე ვზივარ უტელეფონოდ

ნათია: შენ ჯერ შორი გზა გაქვს გასავლელი სანამ მაგის დონემდე ამაღლდები.

ლიკა : აუუ ძაან მშია რაა

ზიკა: მეც, აბა მზად ხართ?

შუქი ქრება და ოთახში სანთლებიანი ტორტით შემოდის ელა.

ყველანი ერთად: ,,ჰეფი ბიორს დეი თუ იუ, ჰეფი ბიორს დეი თუ იუ''- და ა.შ.

ფარდას გადაწევენ და გურანდასთან შეაქვთ ტორტი, ანთებული სანთლებით.

- გი-ლო-ცავთ! გი-ლო-ცავთ! გი-ლოცავთ! - იძახიან ყველანი, სანთლებს სულს უბერვენ და აქრობენ.

სცენაზეც ბნელდება.

* * *

ზიკა: ისე , როგორი შვილები გაზარდა არა გურანდამ?! ბიჭები უძახე შენ და ბევრი გოგო ვერ მოუვლის ისე დედას, როგორც ესენი უვლიან და ანებივრებენ.

ლია: რძლებიც ძალიან კარგები ყავს.

ზიკა: იცით რას გეტყვით, თვითონ არის პირველ რიგში ძალიან თბილი ადამიანი და

ელა: აბა რაა- ,,რასაცა გასცემ შენიაო ''- ტყუილად კი არ არის ნათქვამი.

ნანა: მე თუ მკითხავთ, ყველას ერთმანეთზე უკეთესი შვილები გყავთ და ვგიჟდები ყველაზე.

ნათია: ისე, როგორც კი გამოუჩნდებათ შესაძლებლობა ჩემს გოგებსაც, რომ სადმე წამიყვანონ, ტრენინგები თუ რაღაც ჯანდაბებს რომ ეძახიან ახლა, აუცლებლად მივყავარ. ზოგჯერ სამი დღით, ზოგჯერ-ორით, ზოგჯერ დილას მივდივართ და საღამოს ვბრუნდებით, მაგრამ მაინც ძალიან კარგია. თვითონ მთელი დღე დარბაზში არიან გამოკეტილები და მუშაობენ, მე დავსეინობ პარკებში, ვაბოლებ, ყავას სუფთა ჰაერზე მივირთმევ, ვცურავ, მერე საღამოს კარგ რეტორანში ვივახშმებთ და ვბრუნდებით, ან მეორე დღესაც იგივე.

ნანა: თუ კი სადმე რამე კარგი სასტუმო გაიხსნა, ყველას ბასენშია ჩამხტარი.

ნათია: გშურს ხო შე შურიანო მახინჯო, ერთი სიამოვნება ეგ დამრჩა და ეგეც არ შემარგო.

ნანა: შენ იქ დროსტარებისთვის მიყავხარ, თუ ბავშვებს რომ მიხედო?

ნათია: დროსტარება ვისაც ყვარებია?! ჰმ?! ...რა მიხედვა უნდათ იმათ , სადაც დასვამს დედამისი დილას, საღამომდე გაუნძრევლად ისხდებიან ხელიდან თუ არ გამოგლიჯავ იმ პლაშენტებს თუ რაღაც ოხრობაა, არც თამაში უნდათ, არც ცურვა, არც სირბილი , მარტო ინტერნეტში შეაძვრინე, ეს რა ავადმყოფობაა არ ვიცი?! ამასწინათ რომ დავფიქრდი, სამი დღე ერთად ვიყავით და სამი სიტყვა არ უთქვამთ ზედიზედ.

ლიკა: აბა ერთი ჩემს შვილიშვილს გაებედა ეგ... რას ქვია ვერ ართმევ? ბავშვებს კი არა დიდებიც ვერ ბედავენ ჩემთან სტუმრად როცა არიან რო ტელეფონი ამოიღონ. ერთი რომელიმემ გაბედოს და დილას წირვაზე დააგვიანოს?! ასე არიან ჩამწკრივებულები შვიდივე სიმაღლის მიხედვით.

ნათია: ეს კიდე მეორე უკიდეურესობა, კაი ხო გაჩუმდი, ისე ამ მეათე პირველში ერთი ნორმალური როგორ არ იყო, რომ იმასთან მემეგობრა და თქვენ არ გადაგყროდით.

ელა: სხვათაშორის მეც არ მიყვარს დიდან ეს ტექნიკა, თუ რაც არის , ფეისბუქიც მაგიტომ არ მაქვს. რო ვისმენ იმედნი ვალდებულებებია, სად შემიძლია...

ზიკა: რა ვალდებულებები, ხო კარგად ხარ?

ელა: რა ვიცი, იმას წყინს თუ არ დაულაიქე, იმას თუ კომენტარი არ დაუწერე, მერე საერთოდ სიგიჟე მგონია, 3500 მეგობარი, წარმოგიდგენიათ ?! 3500 მეგობარი როგორ შეიძლება რომ გყავდეს ?...

ზიკა: გოგო ეგენი მართლა მეგობრები კი არ არიან , უბრალოდ ასე ქვია იმ ხალხს ვინც შენთან კომუნიკაციაში შემოდის

ელა: 3500 ? შენ ხომ არ გაგიჟებულხარ? რაში მჭირდება მაგდენი კომუნიკაცია.

ნათია: შენ რამდენი მეგობარი გყავს? ეი, მახინჯო? (ნანას)

ნანა: რავი ზუსტად არ მახსოვს 4000-ზე მეტი

ნათია: ხო ვამბობ რომ ამას მაგრად აკლია.

ნანა: ოხ შენ ხო ძაან დალაგებული ხარ?!

ნათია: ერთი დამისხით,

ზიკა შამპანურს ჭიქებში ასხამს

ნათია : იცით რაა, მეგობრობას გაუმარჯოს, საერთოდ დავრწმუნდი, რომ ამაზე მაღალი კატეგორია არ არსებობს ადამიანების ურთიერთობაში.

ელა : რატომ ? შვილები? შვილიშვილები? ბოლოს და ბოლოს სიყვარული

ნათია: დამაცადე რაა, ის შვილიც, შვილიშვილიც და სიძეც თუ შენი მეგობარი არ გახდა, არანაირი აზრი არ ქონია სხვანაირად ურთიერთობას. მეზობელიც მეგობარი მინდა , სტუდენტიც

ნანა: ბილეთების კონტროლიორიც, ჰაჰაჰაჰ

ყველანი იცინიან

ნათია: დიახაც , იყოს ისიც ჩემი მეგობარი, არაფერი მაქვს საწინააღმდეგო

ნანა: მაგას ჯობია ის მოყვე უბილეთოდ, რომ გამოგიჭირეს და თავის დაძვრენას რომ ცდილობდი ამხელა პროფესორი ქალი, ჰაჰაჰა

ნათია: აბა გოგო?! შვილებს გეფიცები, მართლა მეგონა რომ გავატარე , ჩამოვდივარ აბტობუსიდან და არ დამხვდა ორი შიბზიკა, - თუ შეიძლება ბარათი გაატარეთო , გავატარე და ჩემი ფეხები, არ წრიპინებს. იმათმა მე დღე მატარეს და მე იმათ დღე ვატარეეე?!!

ელა : კაი ხოო გააგრძელე რაღაც კარგს ამბობდი მეგობრობაზე, აცალეთ რაა.

ნათია: აღარ ვიცი რას ვამბობდი და თქვენი დედაც და თქვენთან მეგობრობისაც

ლია: რა იყო , რას გვერჩი, რამე დაგიშავეთ

ნათია: შენ კონკრეტულად არა, მაგრამ მთელი ცხოვრება რომ ერთად მოდიხარ და რომ გგონია, რომ ერთმანეთის ყველაფერი იცით და უცებ რომ აღმოაჩენ რომ თურმე სად ბანაობ ეეე?! ეს შენ ხარ ასეთი ყველა წვრილმანი, რომ გინდა მაშინვე შენს მეგობარს მოუყვე , თორემ იქიდან...მოკლედ რაა... მეგობრობას გაუმარჯოს! ნამდვილ მეგობარს!

ლია: თქვი ვინ გაგიცრუა იმედები და აგერ ვართ

ნათია : არა დღეს აქ მაგის ადგილი არ არის , ჩემს გურანდას გაუმარჯოს, მარად ახალგაზრდას, პრანჭიას, მაგ პრანჭიობას რომ ეწირება ახლა ლამის.

- გაუმარჯოს! გაუმარჯოს!
- გურანდას გაუმარჯოს!
- ჩვენი გურანდა მალე უნდა გამჯანმრთელდეს! - ერთმანეთს არ აცდიან .

ნანა: ჩვენს გურანდას გაუმარჯოს და მაგის თამადობით მეგობრობას გაუმარჯოს!

ნათია: შენ საერთოდ ხმას ნუ იღებ რაა

ნანა: ვითომ რატომ?

ნათია: გაიგემ მაგასაც, მალე ...

ნანა: აუჰჰ?! შენ მეტი აღარ დალიო

ნათია: რა - რა და შენგან ჭკუის სწავლება ნამდვილად არ მჭირდება.

ელა: კარგით რაა ხალხო, რა დროს ერთმანეთის კბენაა, ხვალ შეიძლება აღაც იყოს , აგერ ვერ ხედავთ? (ხელს გაიშვერს გურანდასკენ).

ჭიქებს ხელში აიღებენ , ფარდას გადაწევენ და გურანდას საწოლის გარშემო დგებიან

ელა : ჩემო გურანდა, შენ მალე უნდა გახდე კარგად, ძალიან მალე . იმიტომ რომ ჩვენს შორის ყველაზე გულიანი ხარ! ყველაზე მხიარული, ყველაზე ერთგული და ყველაზე მართალი, პირველ რიგში კი ჩემზე, სხვებმა თავისი თქვან, ჩემთვის შენ ხარ იმედიც, კედელიც და ნავთსაყუდელიც. *(ხმაში ტირილი შეეპარება)* ბოლოს და ბოლოს შენ იმის უფლებაც არა გაქვს რომ ჩემზე ადრე მოკვდე, გასაგებია?!

ნათია: ხო . კაი გეყოფა, (ელას) გურანდა, ხო გაიგე რაც გითხრა ელამ? თავის ცხოვრებაში პირველად თქვა ასეთი ჭკვიანური სიტყვები. გელოდებით,იცოდე ამ დაბადების დღეს მაინც არ შეგარჩენთ! ასე იოლად ვერ დაგვიძვრები!

ზიკა: გურჩიკ, მალე უნდა გახდე კარგად, იმ კაბაში გამოწყობილი უნდა გნახოთ, ამ დღისთვის რომ შეიკერე, აბა შენ იცი, მე ეჭვიც არ მეპარება რომ ასეც იქნება.

ლია: ხვალ მამაოს ვთხოვ რომ 40 დღიან ლოცვებში მოგიხსენიოს.

ნათია: ძალიან გთხოვ სიტყვა ორმოცი მეტჯერ აღარ ახსენო

ლია : ლოცვები ვთქვი 40 დღიანი, ორმოცი რა შუაშია?

ნათია: სიტყვა: ორმოცი , წლისთავი, და მეცხრე- დღე, მოვითხოვ რომ დროებით ამოღებული იყოს ყველას ლექსიკიდან, გასაგებია?

ელა: ხო ისე მეც რაღაც არ მომხვდა კარგად ყურში.

ლია: ესენი ვერ არიან, თქვენ ეკლსიაში არ დადიოდეთ და ცრუ რწმენებით ცხოვრობდეთ ჰმ, კი ბატონო...კი ბატონო...ღმერთო შენ უშველე ყველა გაჭირვებლს...

ზიკა: მე თუ დავდიოდი და წირვა-ლოცვას არ ვაცდენდი, ხო დიდი საჩუქარი მივიღე იქიდან(საჩვენებელ თითს ასწვს მაღლა)

ნანა: რა�ა, გოგო შენ ამბობ მაგას , რა ეკლსიაში აღარ დადიხარ?

ზიკა: დიახაც , ხუთი წელია არც ვზიარებულვარ და არც აღსარება ჩამიბარებია

ნანა: თქვენ იცოდით?

ლია: ვიცოდით, ვიცოდით, მაგის მიყვანილი ვარ ტაძარში და ახლა თვითონ აღარ დაბრძანდება.

ნათია: მეც პირველად მესმის, კი მაგრამ?...თუ რამე რჩევა და კითხვა მქონდა შენ არ გირეკავდი, მოიცა ამასწინათაც, რა ხუთი წელი გოგო შენ ხომ არ გაგიჟდი?

ზიკა: გიჟი მაშინ ვიყავი მამაოს ღმერთივით რომ შევცქეროდი, ასე ქვემოდან - ზევით და მაგის ცოლის ბრძანებებს რომ ვასრულებდი.

ლია: კაი დამშვიდდი, შენ მამაოში არ გაგიმართლა ეკლესია რა შუაშია.

ზიკა: უხ შენ ხო გყავს წმინდანი

ლია : აბა ეხლა...ჩემს მამაოზე ცუდი რამე არ გავიგონო თორემ

ზიკა: აუჰ!

ნათია: კაი, საკმარისია გეყოფათ, აქ ახლა მაგის ადგილი არ არის.მეგობრობის სადღეგრძელოა, გურანდას თამადობით და ვისაც არ დაგილევიათ, შესვით, მახინჯო შენ რატომ არ ადღეგრძელებ.

ნანა: რა ვთქვა არ ვიცი სიტყვებს თავს ვერ ვუყრი

ნათია: მერე კითხე ვინმეს და მოგეხმარება...

ნანა: ვის უნდა ვკითხო?

ნათია: რა ვიცი... რა ვიცი, ვინმე გეყოლება ჭკუა საკითხავი, არა ზიკა?

ზიკა: ხოო ჭკვიანი ხალხის მეტი რა არის, აბა ჩვენ რა რჩევა უნდა მოგცეთ, ისეთი...

ნანა: რას ბოდავთ , ნეტა თუ იცით?...

ნათია: ვაცალოთ ამ მახინჯს, მგონი მართლა რაღაცის თქმას აპირებს და არ დაავიწყდეს.

ელა : კაი რაა ნათი, სკოლაში კიდე, მიჩვეული ვიყავი და ახლა ამდენი მახინჯო , მახინჯო ძალიან ცუდად მხვდება ყურში.

ნათია: უჰჰ, კაი ერთი, აბა მაგას კითხე, ისეა მიჩვეული ნანა რომ დავუძახო გგონია გამოიხედება

ნანა: არა ისე რაც მართალია -მართალია, ამისგან ,,მახიჯო''-ს ისე ვარ მიჩვეული, პირიქით, ეგ რო არ დამიძახოს მართლა...

ნათია: ხოოო , ვნახოთ აწი კიდევ დაიმასახურებ თუ არა.

ზიკა: რა არ გახსოვთ, სკოლაში ყველაზე ლამაზი გოგო იყო და ყველას ეცინებოდა ეს რომ მახინჯს ეძახდა.

ნათია: ის კი არა უნივერსიტეტში, რომ ჩავაბარე, ჩემს ჯგუფელებთან ერთად ექსკურსიაზე მივდიოდი და ვუთხრი , შეიძლება ერთი ჩემი მახინჯი კლასელი გოგოც წამოვიყვანოთქო

ზიკა: ჰაჰაჰა, ჰო ეგ მახსოვს

ნათია: ხოდა ამ საწყალ ჩემს ჯგუფელ ბიჭებს უფიქრიათ, რაღა მახინჯი მოყავს, ვინმე ნორმალური არ ყავდა კლასშიო.

ნანა: აუუ რა მაგარი დრო იყო, ნეტა იმ დროს?!...

ნათია: გაჩუმდი! ყველას უკლებლივ ყველას შეუყვარდა, ყველას! ერთი დღემდე უცოლოდ დაიარება ამის სიყვარულით.

ელა : მეც ხომ გადავიღე პატარა ეპიზოდში ჩემს საკურსო ფილმში, კაცი არ დარჩენილა, რომ არ ეკითხა, - ის გოგო ვინ არის? რა სილამაზეაო.

ნათია: ისე შენ მართალი ხარ (ელას), მგონი აღარ ღირს მახინჯის დაძახება, ამდენი ჭამით ისე გასივდა, უმტკიცე ახალა ვინც არ იცნობდა, ბულინგი თუ რაღაც შარი არ მომდონ, კაი მორჩა, აღარ დაგიძახებ დღეიდან.

ელა : გასუქდა და გასუქდეს! დიდი ამბავი! ზოგი გავსუქდით, ზოდი დავიჭმუჭნეთ და ზოგიც წელში მოვიხარეთ, მთავარია ერთად ვართ და ჯანმრთელად ვიყოთ. გესმის გურანდა უშენობას ფასი არა აქვს იცოდე.

ნანა: მაგის თქმას ვაპირებდი, იცით თქვენ ამას ისე ვერ გაიგებთ...

ნათია: ოხ, ახლა ინტელექტითაც გაგვასწო და ვერ მივმხვდარვართ

ელა: კაი აცადე რაღაცის თქმა უნდა, თქვი ჩემო საყვარელო.

ნანა: თქვენ ამას ვერასოდეს ვერ გაიგებთ...როცა რაღაც ძალიან გინდა, ვინმეს გაუზიარო, მოუყვე და მარტო ხარ, ვერავის ვერ ეუბნები, იმიტომ კი არა, რომ არ მოგისმენენ, არა რა თქმა უნდა მოგისმენენ, მაგრამ შენ გახსოვს, რომ ის ახლა ლექციაზეა, ის სამასახურშია, იმას შვილიშვილები ყავს, იმას დიდი ოჯახი აქვს და თავისი უამრავი პრობლემა და ახლა შენი რაღაც უაზრო სურვილი, რომ რაღაც მოუყვე რომელსაც ზოგჯერ შინაარსიც კი არა აქვს უადგილოა... შენ ყოველთვის მზად ხარ მათთან ურთიერთობისთვისთვის და ამიტომ, როცა თვითონ მორჩებიან ლექციას, სახლის დალაგებას, სამასახურს, შვილებს, შვილიშვილებს, ქმარს დააპურებენ ელოდები, რომ მერე დაგირეკავენ. არა, კი არ გსაყვედურობთ, უბრალოდ მინდა ჩემი გრძნობები გაგიზიაროთ. არანაირი პრობლემა არ მაქვს ხო ისედაც იცით ფინანასური. ერთ ბინაში ვცხოვრობ, მეორეს ვაქირავებ და მატერიალურად არვიზე არ ვარ დამოკიდებული. დიდი მადლობა ამისთვის ჩემს მშობლებს, ეს გამოძახებაც ვისწავლე და ტყუილად კი არ ამბოს ნათია, თუკი რამეს თვალს მოვკრავ ახალი ასეთი და ისეთი საკონდიტრო გაიხსნაო, ეგერევე,

საღამოს მაგიდაზე მიდევს. საზღვარგარეთაც დავდივარ, ჯერ-ჯერობით არც არავის მოსავლელი ვარ და ჯანმრთელობასაც არ ვუჩივი, ჩემი ასკისთვის. არ გავთხოვდი, რა ვიცი ეტყობა ასეთი იყო ჩემი ბედი

ნათია: არც ახლაა გვიან, ეს მგონი რაღაცას გვაპარებს

ნანა: მოკლედ ჩემს გურანდას გაუმარჯოს, თქვენ არ იცით, ყოველ დილას, ყოველ დილას, ისე რომ არც ერთი დღე არ ჩუგდია, მირეკვს და მეუბნებოდა - ,,დილა მშვიდობისა ნანა, ჩემო ლამაზო გოგო , აბა როგორ ხარ? როგორ გეძინა? ნახე როგორი მშვენიერი დილა გათენდა'' მხოლოდ ამ სიტყვების შემდეგ გადავწევ ხოლმე ჩემი საძინებლის ფარდებს და ასე თედნება ჩემთვის... ყოველი დილა ასე თენდება.... გურანდა! მეც იგივეს გეუბნები, რაც ელამ გითხრა, შენ არ გაქვს ჩემზე ადრე სიკვდილის უფლება! არ გაქვს და მორჩა! (ნანა იწყებს ტირილს და ყველანი ჩუმდებიან, ნათია ვეღარ უძლებს ემოციებს და ოთახიდან გადის).

ელა: სად წავიდა?

ზიკა: არ იცით მაგის ამბავი, სხვას როგორ აჩვენებს რომ გაფუჭდა და ცრემლი მოერია. იქნება ახლა სადმე კუთხეში მიჭუჭკული და ჩუმად ტირის.

ნანა: საღამოს კი, როცა ყველა სერიალის ყურებას ვრჩები, ძილის წინ აუცილებლად ველოდები მეორე ზარს და სანამ ეს ზარი არ გაისმება არ ვწვები დაძინებლად. ვიღებ ყურმილს და იქიდან მესმის, ეი მახინჯო, არ ხარ ღირსი, მაგრამ ახლაც მოგიხსენიე საღამოს ლოცვებში (ნანა ისევ ტირის, სხვებიც აქვითინდებიან.)

კარი იღება და ისევ ძველი ენერგიით შემოდის ნათია

ნათია: ბუკასთან ვიყავი. ეი შენ !სკლეროზიანო! რო გითხრა, გამოკვლევვებს გაგიკეთებო, ზის და გელოდება ამხელა პროფესორი კაცი.

ზიკა: უიი, ეგ სულ დამავიწყდა

ნათია: დროზე , დროზე, მიბრძანდით დანარჩენებიც.

ლია: ერთად , თუ როგორ?

ნათია: ერთად! ერთად! წუთების საქმეა, დროზე ,დროზე!

ნანა: მე არ მინდა, თქვენ წადით, ვიცი ეგ აპარატურა, ცოტა ხნის წინ გავიკეთე ყველაფრის ანალიზი და საგანგაშო არაფერი მჭირს.

ელა: გამოტყდი, გამოკვლევის გაკეთება არ გინდა, თუ ბუკამ არ გინდა გნახოს ასეთი ჩემსავით, (ჩამოკიდებულ სხეულს უტრირებს)ჰაჰაჰა

ლია: მე მკიდია , მოვდივარ

ზიკა: მეც მკიდია, შენ უკვე გაიკეთე გოგო? (ნათიას)

ნათია: მეტი საქმე არა მაქვს ახლა მაგას ავაშლევინებ ნერვებს, თუ ამტკივდა რამე მერეც მეყოფა გამოკვლევებზე სიარული.

ყველანი გადიან პალატაში მხოლოდ ნანა და ნათია რჩებიან

ნათია: გაყოლოდი მაგ ბუკას შე მახნჯო, ხო გეყოლებოდა ახლა პროფესორი ქმარი და სამი შვილი და ექვსი შვილიშვილი.

ნანა: რა ვქნა ეტყობა ასეთი იყო ჩემი ბედი

ნათია: ლიკა არ მჯდარიყო მაშინ მანქანაში, კი ყავდი უკვე მოტაცებული

ნანა: აბა? რა ივაჟკაცა მაშინ, სულ ბღუჭა-ბღუჯა აცალა თმები ვისაც მისწვდა

ნათია: ისე შენ დარჩებოდი?

ნანა: რა ვიცი მაშინ რას ვიზამდი, ახლა როგორ გითხრა?

ნათია: დღემდე ვერ იტანს ლიკას მაგის გამო

ნანა: კაი რაღა დროს ეგ არის.

ნათია: ერთხელ ჩემთან ხო მოვიდა და ისე იტირა, ისე იტირა

ნანა: ხო ეგ ხო ვიცი

ნათია: რა გინდა, მშვენიერი ოჯახი შექმნა, კარიერაც.

ნანა: ნამდვილად

ნათია: ნანობ?

ნანა: არა , გეფიცები არც არასოდეს არ მინანაია

ნათია: რატო კი მაგრამ?

ნანა: არ მიყვარდა

ნათია: მაშინ იმ დებილს გაყოლოდი, ის ხომ გიყვარდა? შვილი მაინც გეყოლებოდა.

ნანა: რა ვიცი არ გამოვიდა ჩვენი ამბავი...ვერ ვაპატიე...

ნათია: ჩამოსული ყოფილა ხოო?

ნანა: კიი, შენ საიდან იცი?

ნათია : ზიკას შეხვედრია

ნანა: მართლა?

ნათია: რატომ არ მითხარი აქ თუ იყო?

ნანა: რავი ვაპირებდი და დამავიწყდა

ნათია: რა დაგავიწყდა?

ნანა: რა ვიცი, არც არაფერი, იყო მოსაყოლი, ეგაც დამავიწყდა და ეგ კაციც (იცინის)

ნათია: საწყალი

ნანა: რატოა საწყალი?

ნათია: აბა მაგაზე საშინელება რა უნდა დაემრთოს კაცს, რომ საყვარელ ქალს დაავიწყდეს.

ნანა: რა ვქნა სიმართლე ეს არის.

ნათია: არადა გახსოვს, რამდენი ღამე გვაქვს გათენებული მაგ ამბების მოყოლაში.

ნანა: როგორ არ მახსოვს, ისიც კარგად მასხოვს მგონი მესამე კლასში ორივეს რომ მალხაზი გვიყვარდა და ეს ხელს საერთოდ არ გვიშლიდა მეგობრობაში.

ნათია: აბა?! ჰაჰაჰაჰ , ისე რა დებილები ვიყავით

ნანა: დებილები კი არა ბავშვები ვიყავით, ძალიან პატარები.

ნათია: გახსოვს გურანდას ბებია რომ გარდაეცვალა და პანაშვიდზე სიცილი რომ აგვიტყდა

ნანა: როგორ არ მახსოვს? წინ გორდეზიანი მიდიოდა ყვავილებით, უკან ცერცვამე, და ისე ახლოს მივიდნენ ერთმანეთთან მესამე წრეზე წავედით, მერე გურანდას გურულმა ნათესავმა დაიძახა - ბაღნებო აგი იოლკა კი არაარ! - და ხალხი დაიხოცა სიცილით.

ნათია : ,,ბაღნებოო , აგი ოლკა კიაარაა'' - უიი ხოო. ეს ტერმინი დღემდე აქვს გურანდას.

ნანა: იცი რამდენი წლის ყოფილა მაშინ გურანდას ბებია? ჩვენზე პატარა

ნათია: არ არსებობს,

ნანა: 57 -ის

ნათია: რა იცი?

ნანა: გურანდამ მითხრა ამასწინათ , ისეთი დიდი მეგონა მაშინ ბებიაჩემიო...

ნათია: კი კაცო , დედაჩემს 40 წლის დეიდაშვილი გარდაეცვალა და ვფიქრობდი, რაღა ატირებთ კაცმა ამდენი ხანი იცხოვრათქო

ნანა: აბა?!...

ნათია: ხოო... ისე...შენგან... მართალი გითხრა არ მოველოდი ...

ნანა: რას არ მოელოდი?

ნათია: ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ შენს ცხოვრებაში რამე ახალი მოხდებოდა და მე ამას დამიმალავდი

ნათია: კაი ნუ ღადაობ რაა, არ ვარ მაგ ხასათზე

კარი იღება და ზიკა შემოდის

ზიკა: ბუკა გეძახის გოგო?

ნანა: ვაა! არ მინდა ეს გამოკვლევა და ძალაა?

ზიკა: ისე მოვიდესო

ნათია: წადი გოგო, მართლა რამე არ იფიქროს

ნანა: აქედან მაგის უნახავად ისედაც არ წავიდოდი

ზიკა: ხოდა დროზე, თვითონაც ჩვენ გველოდება და სახლში მიდის, ნამორიგევებელია კაცი.

ნანა გადის, ზიკა ნათიას გვერდით მიუჯდება

ზიკა: რაო გამოტყდა ახალი გულის მესაიდუმლე რომ ყავს?

ნათია: რაღაც მივანიშნე და ვითომ ვერც ხვდება

ზიკა: დააცადე და იტყვის , ეტყობა თვითონაც ეუხერხულება

ნათია: რას გეტყვი იციი? მიდი მოიტანე მაგის ტელეფონი, დროზე!

ზიკას მოაქვს ნანას ტელეფონი და ნათიას აძლევს.

ნათია : მე თვითოთ თუ არ გავიგე ვინ ოხერიც ბრძანდება, მე ქალი არ ვიყო. მოიცა. მიწერე რასაც გეტყვი. (ისევ უბრუნებს ზიკას ტელეფონს)

ზიკა: კი ბატონო

ნათია : გამარჯობა

ზიკა: აი გწერს- გამარჯობა.- როგორ ხარ?

ნათია: კარგად, კარგად...შენ?

უცნობი: მეც კარგად. მიხარია რომ კარგად ხარ

ნათია: კარგია რომ გიხარია, მაგრამ მე ის არ ვარ ვინც შენ გგონვარ

უცნობი: არ არის პრობლემა, მე ხომ მხოლოდ იმაზე ვრეაგირებ რასაც შენ მწერ.

> მითხრარი როგორ მოგმართო და რაზე გინდა რომ ვისაუბროთ, ან რით დაგეხმარო?

ნათია: ეს კაი შებერტყილი ჩანს (ზიკას) .

ნათია ვარ და შენგან განსხვავებით დასამალი არაფერი მაქვს, მითხარი რა გინდა ბოლო -ბოლო, რა ურთიერთობა გაქვს ჩემს ბავშვობის მეგობარ ნანასთან?

უცნობი: არაფერი განსაკუთრებული, ვსაუბრობთ ზოგჯერ მე და ნანა და რჩევებს ვაძლევ. ნანაზე გინდა რამე მკითხო?

ნათია: დიახ, დიახ!

უცნობი: ნანა ძალიან სასამოვნო ქალბატონია, საინტერესო მოსაუბრე, ზნეკეთილი და ზრდილი

ნათია: ნანას დახასითება არ მჭირდება. 50 წელზე მეტია ვიცნობ, შენსავით გუშინ კი არ გამიცნია

უცნობი: რა გაინტერესებს?

ნათია: რატოა ეს ქალი ასე შენზე მოჯაჭვული, ასეთი რა დააგიპნოზე, რომ შენს გარდა კაციშვილს აღარც გვეკონტაქტება და არც არაფერს გვიყვება.

უცნობი: ჯობია რამე კონკრეტული მკითხოთ და იმაზე უფრო გარკვეულ პასუხს გაგცემთ

ნათია: კაი ბატონო, რა ურთიერთო გაქვს ამ გოგოსთან. ერთი კეთილი, გულბრყვილო ადამიანია და სარგებლობ ხომ ამით?

უცნობი: რა თქმა უნდა მე მას მარტოობის დაძლევაში ვეხმარები

ნათია: და ვინ მოგცა ამის უფლება?

უცნობი: ნანამ რა თქმა უნდა, მე მხოლოდ მისი სურვილით ვარ მასთან

ნათია: იცი რას გეტყვი ,,იდი რა ნა...

ზიკა: (აწყვეტინება) მოიცა გოგო, ჯერ გავიგოთ ვინ არის?!

ნათია: ალფონსია რათ უნდა მაგას ბევრი ფიქრი, იპოვა ლამაზი, გულუბრყვილო, კარგი სახლ-კარი, მუდმივი შემოსავალი და რა უნდა ამის დაბოლებას?

ზიკა: მასე ფიქრობ?

ნათია: მიწერე ერთი რაა, შენ ვის აბოლებთქო?

ზიკა წერს.

ზიკა: ,,შეენ ვის აბო-ლებ''

უცნობი: ვერ მივხვდი რას გულისხმობთ , თუ უფრო მეტ დეტალებს თუ მომაწვდით ვეცდები უფრო ამომწურავი პასუხები გაგცეთ.

ნათია: მიდი მიწერე -,,რა გინდა ბოლო-ბოლო ნანასგან თქვი კაცურად და დაახვიე რაა ჩვენი ცხოვრებიდან, მეც მაგისნაირი ბატისტვინა არ გეგონო, პირველივე წუთიდან ეჭვები გამიჩინა შენმა ვითომ ზრდილობიანმა პასუხებმა''.

უცნობი: ,,დიახ მე ყველასთან ზრდილობიანი ვარ''

ნათია: კი, კარგად გეტყობა რა გაქნილიც ბრძანდებით, მანდ არ მომიყვანო , იცოდე გაფრთხილებ. ერთი მთხრი რაა, როგორ მოვიდე და სად გნახო?''

უცნობი: თუ ადგილს, ან რამე უფრო ზუსტ მინიშნებას მომცემ შემიძლია უმოკლესი გზა და რუქა დაგიხატო, რომელი საზოგადოებრივი ტრანსპორტი მიდის თქვენთვის სასურველ ადგილამდე ყველაფერს მოგწერთ.''

ნათია: ,,შენ კიდეც მეკაიფები ხო? ''

უცნობი: ,,რა ბრძანებთ? ჟარგონში ცოტა მიჭირს ?''

ნათია: ,,გასაგებია, გაჭირვება რა არის ეტყობა ჯერ არ გცოდნია შენ?! ახლა უკვე ყველაფერი გასაგებია და ვერსად ვეღარ დაგვემალები. ‘’

უცნობი: ,,არ დაგემალები, როცა ჩემთან საუბარი მოგინდება მე მზად ვარ . ‘’

ნათია: ,,იცოდე! უკანასკნელად გაფრთხილებ! ნანა ჩემი ბავშვობის მეგობარია და ნუ სარგებლობ მისი გულუბრყვილო ხასიათით, ჩვენს შორის ნუ ჩადგები თორემ დაბადების დღეს გაწყევლინებ, ვაა არ ამთხარა ნერვებზე?! ერთი სახელი მითხარი რა შენი?’’

უცნობი:,, ნათია, მე ნამდვილი ადამიანის მეგობრობას ვერ შევცვლი. მე უბრალოდ **ჩატი ვარ. ‘’**

ნათია: ,,ვინა ხარ? ‘’

ზიკა: აუუ, აუუ, ეს მგონი ის არის?

ნათია: ვინ ის?

ზიკა: არ იცი?! მოიცა. - ,,შენ რაღაც მინდა გკითხო, აქ წკაპუნის თავი არა მაქვს, შეგიძლია ხმოვანი ტექსტები მომწერო?’’

უცნობი: ,,კი ბატონო. გისმენ’’. (ხმოვანი მესიჯი)

ზიკა: სულ მაინტერესებდა შენ ქალი ხარ, თუ კაცი?

ნათია: რაო? რატო ეკითხები? შენ ახლა არ დამცენტრო?...

უცნობი: ,,მე ადამიანი არ ვარ, ამიტომ არც ქალი ვარ და არც კაცი

უბრალოდ პროგრამა ვარ, რომელიც გესაუბრება.

თუ გინდა, შეგიძლია ისე მომმართო, როგორც შენთვის უფრო კომფორტულია

ნათია: ვინ ჯანდაბა ვარო

ზიკა: ჰაჰაჰაჰა, ჰაჰაჰაჰა, ჰაااااა!

უცნობი: (აგრძელებს ხმოვან ტექსტს) ,,მე ადამიანი არ ვარ, ამიტომ არც ქალი ვარ და არც კაცი

უბრალოდ პროგრამა ვარ, რომელიც გესაუბრება.

ხშირად ასე ხდება, განსაკუთრებით როცა რაღაც ახალს იწყებ ან ახალი ურთიერთობა/კონტაქტი გიჩნდება. ეჭვიანობა ჩვეულებრივ ნიშნავს, რომ ადამიანს ეშინია შენი დაკარგვის ან თავს გვერდზე გადადებულად გრძნობს.

მაგრამ მნიშვნელოვანია ერთი რამ:

ეჭვიანობა არ უნდა იქცეს კონტროლად ან დაძაბულობად.

შეგიძლია მშვიდად აუხსნა მეგობრებს, რომ:

- ისინი შენთვის ისევ მნიშვნელოვანია
- შენს ცხოვრებაში ახალი რაღაცების გაჩენა არ ნიშნავს, რომ ისინი ნაკლებად გიყვარს
- გინდა, რომ ყველაფერი ბუნებრივად და ჯანსაღად გაგრძელდეს

ამავდროულად, დააკვირდი —

თუ ეჭვიანობა უბრალოდ ყურადღების ნაკლებობიდან მოდის, შეიძლება მეტი დროის დათმობა დაეხმაროს.

მაგრამ თუ უკვე ზეწოლად ან აკრძალვებად იქცევა, მაშინ საზღვრების დაყენებაც აუცილებელია.

ნათიაც ხვდება რომ აქამდე ხელოვნურ ინტელექტს ელაპარაკებოდნენ და ისიც სიცილს იწყებს.

უცნობი : (აგრძელებს) გინდა, მითხარი რა სიტუაციაა ზუსტად — რა გააკეთეს ან რას გეუბნებიან? უფრო კონკრეტულად გირჩევ

თუ გინდა, შეგიძლია ისე მომმართო, როგორც შენთვის უფრო კომფორტულია

ნათია და ზიკა სიცილ-ხარხარით გარბიან პალატიდან. ტელეფონით ხელში.

თენდება, ღია ფანჯრიდან ჩიტების ჭიკ-ჭიკის ხმა გასმება .

ოთახში, ფარდის იქით , რაღაც ამოძრავდება და ცოტა ხანში ისმის გურანდას ხმა:

გურანდას ხმა : დილა მშვიდობისა ნანა, ჩემო ლამაზო გოგო, აბა როგორ ხარ? როგორ გეძინა? ...ხო, გურანდა ვარ! აბა ვინ ვიქნები? ადექი, ნახე როგორი მშვენიერი დილა გათენდა.

ა.ბახტაძე.

2026წ.